საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

01/09/2025

MES 3 25 0001109370

გადაწყვეტილება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს

კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 23 აპრილის №436819 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის, "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ 1.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, რომ IBSU-მ არსებული სწავლის შედეგების ჩარჩოს საფუძველზე განახორციელოს შედეგების ფორმულირების, რუკების შედგენისა და შეფასების სტრუქტურირებული, პროგრამებს შორის მიმოხილვა, რათა უზრუნველყოს ვერტიკალური პროგრესის როგორც აშკარა, ასევე სისტემატურად ინტეგრირება მე-6, მე-7 და მე-8 დონეებზე. ეს პროცესი უნდა ფოკუსირებული იყოს კონცეპტუალური ჩარჩოს გაძლიერებაზე ბაკალავრიატიდან დოქტორანტურამდე და საგანმანათლებლო კლასტერში პროგრამებს შორის თანმიმდევრულობისა და ურთიერთშემავსებლობის მაქსიმიზაციაზე" - გადაიტანა რჩევების ნაწილში.

ასევე, რჩევების ნაწილში გადავიდა 1.4 კომპონენტის სამი რეკომენდაცია:

"რეკომენდებულია, რომ IBSU-მ პერიოდული, ყოვლისმომცველი მიმოხილვის პროცესის მეშვეობით გააგრძელოს ოთხივე პროგრამის სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების დახვეწა. ამან უნდა უზრუნველყოს სწავლის მოსალოდნელ დონესთან მუდმივი სიცხადე, თანმიმდევრულობა და შესაბამისობა, ამავდროულად, შეამციროს კურსებს შორის ზედმეტი რესურსები და გამოასწოროს პროგრამის ანალიზში გამოვლენილი ნებისმიერი

დარჩენილი სასწავლო ხარვეზი. პროცესი ოფიციალურად უნდა იყოს დოკუმენტირებული, იხელმძღვანელოს კონსტრუქციული შესაბამისობის პრინციპებით და ინტეგრირებული იყოს უნივერსიტეტის შიდა ურთიერთშეფასებისა და აკადემიური განვითარების ციკლებში"
"რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გააძლიეროს აქცენტი საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებზე სწავლებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ ყველა კურსში, რათა უზრუნველყოს, რომ კურსდამთავრებულები სრულად იყვნენ აღჭურვილნი პოლიტიკის ჩარჩოების ეფექტურ საკლასო პრაქტიკად გადასაყვანად".
"რეკომენდებულია კურსის გადახედვა, რათა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ისეთ კომპეტენციებს, როგორიცაა სასწავლო გეგმის ადაპტაცია, გაკვეთილების დიფერენციაცია და ეროვნულ საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობა".

ასევე რჩევებში გადავიდა 1.5 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია ზოგადი განათლების კანონმდებლობის საფუძვლებისა და ინგლისური ენის სწავლების მეთოდებისა და პრინციპების კურსის შინაარსის გადახედვა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან უფრო არსებითი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, უნდა გადაიხედოს ამჟამად გამოყენებული სასწავლო მასალები და დაემატოს შესაბამისი, კონტექსტისთვის სპეციფიკური პედაგოგიური ლიტერატურა, როგორც საგნის ცოდნის, ასევე მეთოდოლოგიური კომპეტენციის მხარდასაჭერად".
შედეგად არ შეცვლილა პირველი სტანდარტის შეფასება და ის „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 14 აგვისტომდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის, "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 1 სექტემბრის სხდომის №1109333 ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ IBSU-მ გადახედოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული კურსების შერჩევას, რათა უზრუნველყოს ეროვნულ საგნობრივ სტანდარტებთან მკაფიო და გამჭვირვალე შესაბამისობა. ამან უნდა უზრუნველყოს კურსების პრიორიტეტულობა, რომლებიც ყველაზე პირდაპირ კავშირშია კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი ძირითადი პროფესიული კომპეტენციების განვითარებასთან, კურსის შერჩევის დასაბუთებით, რომელიც დოკუმენტირებული იქნება პროგრამის მასალებში;
2. რეკომენდებულია, რომ IBSU-მ შემდგომში სისტემატიზაცია გაუკეთოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას კურსების შერჩევისთვის გამოყენებულ მეთოდოლოგიას - განსაკუთრებით მასწავლებელთა მომზადების პროგრამაში. შერჩევამ უნდა პრიორიტეტი მიანიჭოს კურსებს, რომლებიც პირდაპირ ასახავს ეროვნულ საგნობრივ სტანდარტებში ასახულ ძირითად პროფესიულ კომპეტენციებს;
3. რეკომენდებულია ინსტრუქციული დაგეგმვის (TKT) კურსის სასწავლო გეგმის შინაარსის გაფართოება კონსტრუქტივიზმის, სწავლის უნივერსალური დიზაინის, დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის თემების ჩათვლით. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ნახონ, თუ როგორ შეიძლება ამ მიდგომების გამოყენება რეალურ სასწავლო პროცესში. ამიტომ, ინსტრუქციული დაგეგმვის (TKT) კურსის მასალები უნდა გაფართოვდეს და განახლდეს ისე, რომ მოიცავდეს ზემოთ ხსენებულ ძირითად თემებს, რომლებიც სცილდება TKT-ის ამჟამინდელ საბაზისო შინაარსს;
4. რეკომენდებულია, იმის გათვალისწინებით, რომ კლასის მართვა და შეფასება უკვე განიხილება, როგორც დამოუკიდებელი სავალდებულო კურსები, აღარ იყოს საჭირო ამ შინაარსის რეპლიკაცია ინსტრუქციული დაგეგმვის კურსში. სამაგიეროდ, რეკომენდებულია, რომ კურსმა გააღრმავოს ყურადღება სასწავლო გეგმის შესაბამისობასა და გაკვეთილების დიფერენციაციაზე;
5. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და პრაქტიკის დაწესებულებების წარმომადგენლების მონაწილეობით რეფლექსიური შეხვედრების პრაქტიკის შემუშავება, რაც სტუდენტების თვითრეფლექსიური შესაძლებლობების გაძლიერებისა და IBSU-სა და მის პრაქტიკის პარტნიორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების საშუალებას წარმოადგენს.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 14 აგვისტოდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 14 აგვისტო.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული

გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე